

## დიდვაჭარი და მისი ძე

იყო დიდვაჭარი და ჰყვა შვილი ერთი. რა კვდებოდა, შვილს მართებული ასწავლა სამასი ლიტრა ტყვია ერთს მონას მიაბარა და ამცნო შენახვა და შვილისა არა თქმა, ვირემ არ დაეჭიროსო.

მოკვდა კაცი იგი და შვილი მისი მემთვრალე იყო და ღვინის მსმელთა თანა ილხენდა. ყოველი მამის მონაგები სრულებით გარდააგო, რომე ცოლის სამკაულიც გაჰყიდა და დარჩა გლახაკი.

რა მისთა მსახურთ ნახეს, აღარა ჰქონდა რა, მისი სიყვარული გაცვითეს. მოაგონდა ტყვია და ჰკითხა მას მონას: რა უყავ, მამამან ჩემმან სამასი ლიტრა ტყვია რომ მოგაბარაო? იგი მომიტანეო!

წავიდა კაცი იგი და ტირილით მოვიდა. ეგრე უთხრა: მიწაშიგან დავფალ და თავგს შეუჭამიაო!

მან ყრმამან არ დაუჯერა და მათ ღვინის მსმელთ უმოწმეს: მართალი იქნებაო.

დია დაგლახაკდა და მოუნდა მას თავის ამხანაგებთან სმა და არარა აქვნდა მისულიყო და მიეტანა. წავიდა, ცოლსა ლეჩაქი მოჰხადა, გაყიდა. ერთი პური და ცოტა ყველი იყიდა, წაიღო და წავიდა.

მისნი ამხანაგნი წალკოტში ისხდნენ და სმიდნენ. რა კართან მივიდა, შარდი მოუნდა. პური და ყველი დადვა, და თვით მიდგა. მივიდა ერთი ძაღლი. პური და ყველი შეუჭამა.

შევიდა ყრმა იგი ამხანაგთა თანა. მათ მისი დიდი ხარჯი და მასპინძლობა დავიწყებოდათ, აღარც მაგიერი უყვეს და დატუქსეს:

უძღვნოდ რად მოხველო!

შერცხვა და ეგრე უთხრა: ყველი და პური მომქონდა და ძაღლმან შემიჭამაო.

მონა იგი მისი მათ თანა სმიდა, გასცინა და ეგრე უთხრა: ტყუის, ძაღლი როგორ შეუჭამდაო.

აეტირა კაცსა მას და ეგრე უთხრა: ღმერთიმც გრისხავს! თუ სამასი ლიტრა ტყვია ერთმან თავგმან შეჭამა, ერთ პურსა და ცოტას ყველს დიდი ქოფაკი როგორ ვერ მოერეოდა, რომ შეეჭამაო!

და ნამტირალევი გამოვიდა.

ადგა იგი მონა, მოეწია უკან და უთხრა:

- ვერა სცან ჰკუა შენო! ეგოდენი ქონება რად გარდააგე? ვინ არის მადლიერი? ახლა ჩემი ისმინე და ნულარ მემთვრალეობ:

თავი იცან. მე იგი ტყვია ისევ მაქვს. ეს დღე ვიცოდი და, თუ უწინა მომეცა, მასცა დაჰკარგევდი. აჰა, ახლა შენი ქონება ღმერთმან მო- გახმაროს!

მერე კარგად იხმარა, ისევ დიდებული ვაჭარი შეიქმნა, რა აღებმიცემა შეიტყო.

- საქონელი ბევრი სჯობს, თუ კაცი კარგა იხმარებს, თვარა გლახაკი ავს მდიდარს სჯობს. ძველად თქმულა: ერთმან გლახაკმან თქვა: მეფეთა ვჯობვარო ამაღ, რომ მე რაც მაქვს, მეყოფის და კიდევ ვჯერვარო: და მათ ხმელეთი იშოვონ, არ იმყოფინებენ და არც გაძლებიანო!

ჰკითხა მეფემან:

- რადგან სიბრძნის სწავლას სჩემობ, რა უფრო საამოა კაცის და რა საწყენი და დასამძიმებელი?═

მოახსენა ჯუმბერ არაკი: